სახალხო გაზეთი

№ 217 · ხუთშაბათი, 27 იანვარი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 217

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან საშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящ. N 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამ ნომერში ექვსი გვერდია.

ТИФЛИССКИЙ ФИЛИАЛ
БИБЛИОТЕКА

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

(კვირეულ სურათებიანი დამატებით).

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. 8.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილობით: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

22 იანვარს, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სოფელ შუხუთში მღვდელი

ბესარიონ იმნაიშვილი,

რასაც გამოუთქმელის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს მეუღლე მისი **ბაბილინა**; შვილები; **ეპიფანე**, **გერმანე**, **ალექსანდრე**, **ნიკიფორე**, **მოსე** და **დუთი**. პანაშვიდები ყოველ დღე. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 27 იანვარს, ს. შუხუთში, ღვთისმშობლის საყდრის გალავანში. (3—417—3)

მარიამ კირილეს ასული, ივანე ნესტორის ძე ლორთქიფანიძეები და იგ**დიტა ჩიქოვანისა**, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს რომ კვირას, 16 იანვარს, ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა პირველის—საყვარელი მეუღლე, მეორესი—დაუვიწყარი მამა, მესამესი—ძვირფასი მამიდაშვილი

ნესტორ გლახუას ძე ლორთქიფანიძე.

დასაფლავება მოხდება შაბათს, 29 იანვარს, დღის 12 საათზე, სოფელ საქილაოში. (2—421—2)

ღრმად დამწუხრებულნი **იუსტინა ბეჟანის ასული ქვრივი მალაქია თალაქვაძისა**, და შვილები მისი **დეკანოზი ნიკიტა მეუღლით ალექსანდრა ზაქარიას ასულით**, **პოლიკარპე**, **სტეფანე**, მეუღლე მისი **ეფემია ლეონტის ასული**, **კასიანე**, **პავლე** და **ვალენტინა მალაქიას ძენი და ასულნი**, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 25 იანვარს, ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა პირველის—ძვირფასი შვილი, ხოლო უკანასკნელთა—დაუვიწყარი ძმა და მაზლი, ბაქოს საშუალო ტეხნოლოგიურ სასწავლებლის მოწაფე

ლაზარე მალაქიას ძე თალაქვაძე.

გამოსვენება დღეს, 27 იანვარს, დილის 10 საათზე, დიდუბის ეკკლესიაში, ხოლო დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—423—2)

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 51 (9)

ხუთშაბათს, 27 იანვარს, 1911 წ.

ელისაბედ ა. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ახალი ორიგინალური პიესა ეკ. გაბაშვილისა

1) „ნიღილისტკა"

პიესა 4 მოქმედ.

2) ქიმთან,

ვოდ. 1 მოქ. ი. გოშართლისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ვიქტორელი, კარგარეთელი, ლეჟავა, ლოლუა, ნაზიერიძე, პიეროტა, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი აბაშიძე, არაჯული, გუნია, გვარამძე, ქიქიძე, ზარდალიშვილი, მდივანი, მაკარაძე, მგალობლიშვილი, შამფორია, საფაროვი, ციციშვილი, შალიკაშვილი.

ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასები ჩვეულებრივია.

ადმინისტ. ქართ. დრამ. საზოგ.-ბისა. რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.

შემდეგი ბენეფისი ვლ. ალექსი-მესხიშვილისა, წარმოდგენილი იქნება „ვასილისა მელენტიევნა". (3—3)

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის

საზოგადოების საბჭო

აცხადებს, რომ 1911 წლის განმავლობაში გამოსცემს იგი რამდენსამე **კრებულს მხატვრულ, ფილოსოფიურ და მეცნიერულ შინაარსისას.**

პირველ კრებულისთვის მასალა 15 თებერვლამდე მიიღება. კრებული სივრცით 300—500 გვერდამდე იქნება. საზოგადოების წევრთათვის და „სახალხო გაზეთი"-ს გამომცემელთან შეთანხმებით, ამ გაზეთის ხელის-მომწერ თათვის ეღირება 50 კაპ.; სხვებისათვის კრებული ეღირება არა ნაკლებ 1 მანეთისა. კრებულის გამოცემის თაობაზე მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ მოსალაპარაკებლად სიტყვა-კაზმულ მწერლობის საბჭოს თავმჯდომარეს **გ. ს. რცხილაძეს** (იზმაილოვის ქუჩა, № 2). (10—9)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ხუთშაბათს, 27 იანვარს,

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება.

დღენი ჩვენი ცხოვრებისა,

პიესა 4 მოქ., ანდრეევისა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: ბაზერიძე, თ. გოგოლაშვილი, გოგოლაშვილი, კავთელი, კიკნაძე, ციმაკურიძე; ბ-ნნი ანაშვილი, ბაქრაძე, არადელი, ინაშვილი, თაზიშვილი, მეტრეველი, მელიქიშვილი, ნარი, ჭიაურელი. ჭელიძე, შანშიაშვილი, ხახანაშვილი.

მოწაფეებს არ უშვებენ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრატორი ი. ქობულაშვილი. რეჟისორი ს. გოცირიძე.

წიგნის გამომცემლობა „კულტურა"

იანვრის 20-დან თებერვლის 20 მდე მიიღებს ხელის მოწერას

ოთხ დიდ წიგნზედ:

I **კარლ კაუცკი.** „ანტიური ძველანა", (იუდიელთა და ქრისტიანთა რელიგია) ბიოგრაფიითა და სურათით, 600 გვერ. მეტი. წიგნში 4 ნაწილია და 14 თავია და მრავალ სხვა და სხვა კითხვებს და მეცნიერულ გამოკვლევას ეხება.

II **ლევ ტოლსტოი.** „აღდგომა", რომანი, მრავალ სურათებით, რომელშიაც ჩართული იქნება ლევ ტოლსტოის „უკანასკნელი დღენი", ბიოგრაფიული ცნობები, კრიტიკული წერილებით. ავტორის სურათითა და სხვ. 690 გვერდამდის.

III **ანტონ ფურცელაძე.** „მაცი ხვიტია", რომანი სამეგრელოს ცხოვრებიდან, კრიტიკული განხილვით, ბიოგრაფიით და სურათით, 300 გვერ.

IV **ლავ. არდაზიანი.** „ს. მეჯღანუაშვილი", რომანი ტფილისის წარსულ საუკუნის მე-50 წ.წ. ცხოვრებიდან, გრ. თუმანიშვილისა და სტ. ჭრელაშვილის კრიტიკულის წერილე ით, ბიოგრაფიით და სურათით, 300 გვ.

ეს ოთხი წიგნი გამოვა ცალ-ცალკე ერთსა და იმავე დროს და ეღირება ხელის-მომწერთათვის **ორი მანეთი**. ფულის შემოტანა შეიძლება ნახევარი ამ თავით და ნახევარი წიგნის ჩაბარების დროს, ხოლო ვინც ამ თავით სრულიად შემოიტანს, მას მიეცემა პრემიათ კიდევ მე-5-ე საინტერესო კრებული ჩვენი ახალგაზდა მწერლების (პოეტების, ბელეტრისტების, პუბლიცისტებისა და სხვ.) სახელდობრ: **„სააღდგომო საჩუქარი"**, რომელიც ნაწერებთან ერთად დასურათებული იქნება ავტორის სურათებით და ბიოგრაფიით და ეღირება ცალკე 60 კაპ.

ყველა ზემო-ჩამოთვლილი ნაწერები რომ დიდად საინტერესონი და სასარგებლონი არიან ჩვენ მკითხველებისათვის, ამაზე ბევრი ლაპარაკი, ჩვენის აზრით, მეტია და რა შეეხება ფასებს, ეს ხომ ერთობ საზღაპრო იაფია. მარტო ისიც საკმარისია გაიგოთ, თუ როგორ არის I წიგნი გერმანულად, ან რუსულად იქაც და აქაც 2 მ. 25 კ.—2 მ. 50 კ. ღირს. აგრეთვე II წიგნიც. ამგვარი გამოცემა, როგორსაც გამომცემლობა „კულტურა" აპირებს, სამ მანეთზედ ც მეტი ეღირება.

ამისთვის წიგნის გამომცემლობა „კულტურა" ყველას, განურჩევლად სქესისა და წოდებისა, კადნიერად სთხოვს დახმარებას მის გავრცელებაში. ამით ისინი საზოგადოებასაც დიდ სარგებლობას გაუწევენ და წიგნის გამომცემლობასაც გაამხნევებენ, რომ შემდეგშიაც კიდევ უფრო სასარგებლო და საჭირო წიგნები გამოსცეს. ამავე დასში, რა თქმა უნდა, ვინც კეთილს ინებებს და მოისურვებს აგენტობას გამომცემლობა სიამოვნებით გაუგზავნის საკვიტანციო წიგნებს და თავის გასამრჯელო მიერთმევათ ფულად თუ წიგნებად.

ხოლო თუ ვინმე მოისურვებს წიგნებიდან ცალ-ცალკეობით შეძენას, შეუძლიათ ხელი მოაწერონ შემდეგ წიგნებში: I—1 მ., II—1 მ. III—40 კ., IV—40 კ. V—40 კ.

ფული, ან წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: **ტფილისში**, ქ. თავართქილაძეს. პირადად ვისაც სურს ნახვა, შეუძლია მომმართოს ხემინოვის ქუჩა, N 4. (10—1024—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

ხოხოლდევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—180)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ნ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პოპოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½ 12½ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წ. 6.—543)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირაობით მხოლოდ საღამოს 6—7 საათამდე დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ქუჩა, ყაზბეგის ქ., N 20. (0—6.—34)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9.

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და მატაშინის ქუჩების კუთხე N 14. 0—203

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ანჩის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ა. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

დ. გრეილი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

კალმიკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლონსკოვი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირაუქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. და ბავშვ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვოზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.დღე.

ყულამბაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

წამლობა „606"-ით.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წრათით. (100—6.—46)

ექიმი ჯაფარიძე

ქ. ქუთაისში

მკურნალობს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—70

ექიმი ქ. ქუთაისში თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო ავზულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. გირალოვის სახლი, (50—15—13

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N 2.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. ვოლოჯინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ კვირეულ ჟურნალზე (გამოდის 12 დეკემბრიდან).

ცხოვრება და ხელოვნება

ფასი წლიურად 5 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად, არა ნაკლებ ათი შაურისა. რედაქციამ მიმართა ყველა ქართველ მწერლებს, მეცნიერთ და მხატვარ ხელოვანთ თანამშრომის მიღებისთვის. განყოფილებათა რედაქტორები.

პუბლიცისტიკა ფ. გოგიჩაიშვილი, სიტყვა-კაზმული მწერლობა შ. არაგვისპირელი. (ბელეტრისტია) სიტყვა-წყობილი მწერლობა კ. მ—ლი. (პოეზია) პედაგოგიკა. ალ. მდივანი. მხატვრობა და ქანდაკება ი. ნიკოლაძე ისტორია იუს. აბულაძე. მედიცინა გ. ლამბაშიძე. მუსიკა ზ. ფალიაშვილი. დრამა ვ. შალიკაშვილი. სასცენო ხელოვნება ვ. მესხიშვილი. კრიტიკა და ბიბლიოგრ. ი ვართაგავა. ბუნების მეტყველება ს. იაშვილი. მიმოხილვა გ. გუნია.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ლორთქიფანიძე

პირველ ნომრიდან დაიწყო ბეჭვდა „რესტომიანისა" (ფირდუსის შაჰნამეხი) და შ. დადიანის დრამა „მღვიმეში".

რედაქცია. ტფილისი. სათავად-აზნაურო ქარვასლა თეატრის გვერდზე, ტელეფონი N 862. ხელის მოწერა მიიღება აგრეთვე თეატრის კასაში; წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოებაში; გოლოვინის პროსპექტი ი. კიკნაძის წიგნის მაღაზიაში „НОВАЯ РѢЧЬ".

Адресъ: Тифлисъ, Дворцовая, д. дворянства, рядомъ съ театромъ. Редакція „Цховреба да Хеловнеба". რედაქცია ღია—10—3 ს. (5—უ—1)

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. თ.—180—74

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვის სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. განეთის ქ. ტელეფონი N 816.

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

ივ. ბოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. იქვე წამლობენ სიფილს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606". (30—405—27)

ტფილისი, 27 იანვარი

საყოველთაო სწავლება. თვალ-გადაუწვდენელი ტერიტორია რუსეთის იმპერიისა მრავალ ეროვნებითაა დასახლებული. დიდი-ხნის განმავლობაში თითქმის ყველა ეროვნებანი მოკლებულნი იყვნენ რაციონალურ სწავლა-აღზრდას. ბიუროკრატიული მთავრობა სასტიკად ეურჩებოდა ყველა იმას, ვისაც გულ-წრფელად სურდა განათლების შეტანა ხალხში და ყველანი მეამბოხეებად ეჩვენებოდა. რუსის ხალხი სიბნელეში იმყოფებოდა. სახალხო განათლების სამინისტრო უმთავრეს თავის ყურადღებას საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებს აქცევდა და ისიც იმდენად, რამდენადაც ეს სასწავლებლები სახელმწიფოსთვის საჭირო მოხელეებს იძლეოდა. ამისთანა უყურადღებობამ ხალხის განათლებისადმი თავისი შედეგი მოიტანა: ხალხი დაშორდა რუსეთის განათლებულ ნაწილს—ინტელიგენციას. მაშინ, როდესაც ინტელიგენცია ხარბად ეტანებოდა დასავლეთ ევროპის კულტურას და ამ კულტურის ნაყოფს სამშობლოში გადმონერგვას ცდილობდა, რუსის ხალხი ისევ ძველს პირობებში განაგრძობდა ცხოვრებას და ძველებურს პრიმიტიულ აზროვნებას და მოქმედებას ვერ გასცილებოდა. დღეს რუსის ხალხი და რუსის ინტელიგენცია ორს, ერთი მეორესთან შეუკავშირებელ ელემენტს წარმოადგენს. მათი შეკავშირება, ორგანიულად შესისხლ-ხორცება მხოლოდ მომავალს შეუძლიან. ეს მოხდება მაშინ, როდესაც რუსის ხალხიც გახდება მოზიარე ევროპიულ კულტურისა, როდესაც სწავლა-განათლება შეანათებს დღეს მიყრუებულ რუსის სოფელში.

ის თანხა, რომელიც ეძლეოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს სახალხო განათლებისთვის, მხოლოდ ერთი წვეთი იყო. მას ვერ შეეძლო შესამჩნევი გავლენა მოეხდინა სახალხო განათლების საქმეზე და ის დაეყენებინა იგი, როგორც ამას აუცილებელი საჭიროება მოითხოვს. აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ მოხელეთა გულ-გრილობის წყალობით ეს თანხაც რაციონალურად არ იხარჯებოდა და სახალხო განათლებაც ფერხდებოდა. მთელი ლოღიკა ძველი რეჟიმისა როგორადაც ვერ ეგუებოდა სწავლა-განათლების ფართოდ დაყენებას.

17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ მაშინ, როდესაც ძველი რეჟიმი თვით-უმაღლეს მთავრობის მიერაც დაგმობილ იქმნა, თითქოს შესაძლებელი გახდა განახლებული მოქმედება. ოქტომბრის ხებმაც, რო-

მლებმაც თავიანთ პარტიას შესანიშნავ თვის სახელი უწოდეს, თავის პროგრამის ერთს უმთავრეს მუხლად საყოველთაო სწავლების შემოღება აღიარეს. აღარაფერს ვიტყვით სხვა პარტიებზე, რომელნიც რეაქციამ თვალსაჩინო ცხოვრების ასპარეზიდან გარიყა.

მას შემდეგ კარგა ხანმა გაიარა, მაგრამ სახალხო განათლების საკითხმა ოდნავადაც არ წაიწია წინ. საყოველთაო სწავლების შემოღება ძალიან დიდს ფულსა თხოულობდა, ამ ფულის მიცემა კი შესამჩნევად შეასუსტებდა სხვა ხარჯებს, რომელთა შესუსტებაც მთავრობას შეუძლებლად მიაჩნდა. ოქტომბრისტებმაც თან და თანობითი გზა აირჩიეს და საყოველთაო სწავლების შემოღებისთვის შესაფერი გეგმა შეიმუშავეს. ეს გეგმა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ყოველწლივ უნდა იქმნას ხოლმე გადადებული საკმაო თანხა ახალს სკოლების გასახსნელად და უკვე არსებულთა გასაუმჯობესებლად. ამის გარდა, ბიუჯეტიდან უნდა გადაიდოს განსაკუთრებული თანხა, რომელიც მხოლოდ სკოლებისათვის საჭირო შენობების აგებას უნდა მოხმარდეს.

ამ ჟამად სათათბირო კვლავ შეეხო ამ საკითხს და სახალხო განათლებისთვის ერთ-დროულად ათი მილიონი მოითხოვა. ფინანსთა მინისტრი შეუძლებლად სცნობს ამ თანხის მიცემას და მხოლოდ რვა მილიონზე ჩერდება. ამ შემთხვევაშიაც თავი იჩინა სათათბიროს განზრახვათა ფრთების შეკვეცის სურვილმა. გასაოცარი ის კი არ არის, რომ სათათბირომ ბევრი ფული მოითხოვა სახალხო განათლებისთვის, არამედ გასაოცარი ის არის, რომ ასეთს ცოტა თანხას დასჯერდა, მაგრამ ფინანსთა მინისტრი ამითიც არ არის კმაყოფილი და კრედიტის შემცირებას თხოულობს. როგორც დეპეშებიდან სჩანს, სათათბიროს კომისიის წინადადება მიუღია და ისევ ათ მილიონზე გაჩერებულა.

თქმა არ უნდა, ეს ზომაც პალიატიურ ზომად უნდა ჩაითვალოს. იგი საყოველთაო სწავლას ვერ განახორციელებს, თუ სათათბირომ უფრო ფართოდ არ დააყენა საკითხი და ახალი რამ კომბინაცია არ გამოსძებნა. ამ საქმისათვის საჭიროა თანხის გამოძებნა. ეს კი მოხერხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსეთის ფინანსებს სულ სხვა გვარი დანიშნულება მიეცემა, როდესაც შეიცვლება თვით სისტემა ფულების განაწილებისა. ოქტომბრისტების პარტია, რომელიც დღეს სათათბიროს საკანონმდებლო მუშაობას ხელმძღვანელობს, საკითხის ამ გვარად დაყენებას ერიდება. ბიუჯეტი ისევ ძველის წესითაა შედგენილი, უსაჭიროეს მოთხოვნილებებად ისევ ის ითვლება, რაც წინად ითვლებოდა; სახალხო განათლების საქმე კი ისევ კუნჭულშია მიგდებული, თითქოს საბოლოვოდ მთელი კეთილ-დღეობა რუსის ხალხისა და საზოგადოდ, თუ გნებავთ, რუსეთის პოლიტიკური სიძლიერეც უმთავრესად იმაზე არ იყოს დამოკიდებული, თუ რამდენად გონებრივად წინ არის წასული რუსის ხალხი. უკულტურო და გაუნათლებელი ხალხი პოლიტიკურად ძლიერს სახელმწიფოს ვერ შექმნის. ეს იქნება მხოლოდ გარეგნული სიძლიერე, რომელიც მძიმე ქარ-ტეხილს ვერ გაუძლებს. ამ თვალსაზრისიდაც რომ შევხედოთ სახალხო განათლების საქმეს, მაშინაც მეტის ყურადღებით უნდა მოეკიდნენ მას, ვიდრე დღეს ეკიდებიან.

თვით ხალხის სულიერსა და ეკონომიურს წარმატებისთვის ხომ სწავლა-განათლება აუცილებელია. ამიტომ, ვიმეორებთ, ოქტომბრისტებიც და ყველა ისინიც, ვისაც კანონმდებლობის სადავე ხელში უჭირავთ, იძულებულნი გახდებიან უფრო რაციონალური საშუალებანი გამოსძებნონ სახალხო განათლების ფართოდ დასაყენებლად.

კანონ-პროექტი ერობათა შემოსავლის გადიდების შესახებ.

საერობო თვით-მმართველობამ, რომლის შემოღებასაც დიდი-ხანია გვპირდებიან უმაღლეს მთავრობის წარმომადგენელნი და რომელიც დღემდის გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფება, რუსეთის ადგილობრივ მეურნეობასა და კულტურულ საქმიანობას დიდი დახმარება აღმოუჩინა. ცენტრალურ მთავრობას არავითარი საშუალება არა აქვს ისე კარგად მოუაროს ყველა ადგილობრივ საქმეებს, როგორც საერობო ან ქალაქის თვით-მმართველობას. სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ ისინი, ვინც საერობო თვით-მმართველობის შემოღების აუცილებლობას აღიარებდნენ. თუ ერობათა ცხოვრებასა და მოქმედებას თვალს გადაავლებთ, დაინახავთ, რომ მათ მართლაც დიდი სარგებლობა მოუტანეს ადგილობრივ მეურნეობას. მიუხედავად ამისა, საერობო თვით-მმართველობანი მაინც თავისუფლად ვერა შლიდნენ ფრთებსა. ეს, სხვათა შორის, მათ მატერიალურ ხელ-მოკლეობითაც უნდა აიხსნას. ადგილობრივ საჭიროებათა ზრდა შემოსავლიანობის ზრდის პროპორციონალური არ იყო. მოთხოვნილებანი დიდი იყო, საშინლად იზრდებოდა, ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელი საშუალება კი საერობო თვით-მმართველობებს არ გააჩნდა. ამიტომ საერობო დაწესებულებანი და ქალაქის თვით-მმართველობანი მიმართავდნენ სხვა და სხვა კომბინაციებს ქონების გასაძლიერებლად და ვალიანდებოდნენ. ასეთი მდგომარეობა აფერხებდა საერობო თვით-მმართველობათა მოქმედებას.

როგორც გაზეთებით გადმოგვცემენ, სათათბიროს ოქტომბრისტთა ფრაქციას ყურადღება მიუქცევია ამისთვის და შეუმუშავებია კანონ-პროექტი საერობო თვით-მმართველობათა შემოსავლის გაძლიერების შესახებ. გ. ლერხესა და ი. გლებოვის მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი უკვე შეუტანიათ სათათბიროში. კანონ-პროექტის ავტორებს შეუძლებლად მიაჩნიათ გადასახადების გადიდება, რადგანაც მცხოვრებლებს ისედაც ბევრი გადასახადები აწევთ კისერზე. მცხოვრებლები სახელმწიფო გადასახადებს იხდიან, საერობო გადასახადი დამატებითია. ამ დამატებითი გადასახადის გადიდება ძალიან შეაწუხებდა იმათ, ვისაც კისრად ედება მათი გადახდა. ამიტომ კანონ-პროექტის ავტორებს გამოუძებნიათ სხვა საშუალება საერობო თვით-მმართველობათა ქონების გასაძლიერებლად. ეს საშუალებაა ხაზინის დახმარება.

ხაზინა, კანონ-პროექტის ავტორთა აზრით, ხშირად ეხმარება ხოლმე საერობო თვით-მმართველობათ. როდესაც საერობო თვით-მმართველობა რაიმე კულტურულ საჭიროებისათვის თანხას გადასდებს ხოლმე, მაშინ ხაზინაც ამ მიზნისათვის განსაზღვრულ სუბსიდიას აძლევს. ოქტომბრისტების კანონ-პროექტს სარჩულად ის მოსაზრება უდევს, რომ ხაზინამ აუცილებლად უნდა იკისროს ის ხარჯები, რომელნიც საერთო სახელმწიფოებრივ საქმეებს უნდება. ეს ხარჯებიც რომ ჩამოშორდეს ერობებს, დიდი შეღავათი მიეცემათ. თანახმად ამ მოსაზრებისა, ოქტომბრისტებს შემდეგი კანონ პროექტი შეუმუშავებიათ.

1) თანამდებობის პირთა წასვლა-წამოსვლისთვის საჭირო საერობო ხარჯები, მომრიგებელ მოსამართლეთა და საერობო უფროსების მიერ დატუსაღებულთა შესანახი და სადგომთათვის საჭირო ფული; ამასთანავე ყველა ის ხარჯები, რომელნიც სჭირდებათ წასვლა-წამოსვლისთვის გამომძიებლებსა და პოლიციელებს, 1912 წლიდან უნდა იკისროს ხაზინამ; 2) საგიჟეებისა და უკანონო ბავშვთა თავ-შესაფარების შესანახად 1912 წლის პირველ იანვრიდან ხაზინამ უნდა გაიღოს ერთი მესამედი იმ თანხისა, რომელიც ამ საქმეს დაჭირდება.

გაცილებით უფრო ფართოდ აქვს დაყენებული ეს საკითხი კადეტთა პარტიას, რომელიც ყველა ამის გარდა, თხოულობს, რომ საერობო გადასახადები დაედოს ისეთს მიწებსაც, რომელნიც დღეს განთავისუფლებულნი არიან; მაგალითად: საეკლესიო და სამონასტრო მიწებს, სახელმწიფო და კერძო რკინის გზებს და სხვ. კადეტებს საჭიროდ მიაჩნიათ აგრეთვე, რომ ქალაქებსა და ერობებს გადაეცეთ სახელმწიფო საადგილ-მამულო გადასახადი.

ადვილად შესაძლებელია, რომ კადეტთა პროექტი არ განხორციელდეს, მაგრამ ოქტომბრისტები ისე მცირედ რამეს თხოულობენ, რომ მისი განხორციელება მაინც უზრუნველ-ყოფილი უნდა იყოს.

კანონ-პროექტი უკვე შეტანილია სახელმწიფო სათათბიროში და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულება მის განხილვას შეუდგება.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სარატოვის გუბერნიის საერობო არჩევნებში კადეტთა პარტიამ გაიმარჯვა. ეს გარემოება მოსვენებას არ აძლევს პატრიოტულ „სვეტს“, რომელიც თავის თანა-მოაზრეებს საყვედურს საყვედურზე უთვლის.

„ყოველ დღე „მემარცხენე ფურცლები“,—სწერს გაზეთი,—დასცინიან იმ უთანხმოებას, რომელიც მემარჯვენეთა რაზმში არსებობს. ამ დაცინვაში ბევრი სიცრუეა, მაგრამ, საუბედუროდ სიმართლეც ბევრია... დროა, დავივიწყოთ წარსული დროს მებრძოლი მომენტები და ნამდვილ მებრძოლთაგან საზოგადოებრივ მოღვაწეებად გადავიქცეთ, ე. ი. ისეთს ადამიანებად, რომელნიც მარტო განსაზღვრულ მიზნებს კი არ ისახავენ, არამედ ამ მიზნების განხორციელებაც შეუძლიანთ“.

რუსის ნაციონალისტების გაზეთს ეჭვი ებადება, ვაი თუ მომავალ საერთო არჩევნებშიაც კადეტებმა გაიმარჯვონ, სარატოვის არჩევნები ძალიან ცუდს სიმპტომად მიაჩნია და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ამბობს:

„მხოლოდ რაღაც არა ჩვეულებრივ შემთხვევას შეეძლო გამარჯვება მიეცა მემარჯვენეთათვის“.

საცოდავი მემარჯვენენი! ისინი ყოველთვის მთელ თავის იმედებს არა ჩვეულებრივ შემთხვევებზე ამყარებენ და ვერა ხედავენ, რომ დღითი დღე საზოგადოება პირს იბრუნებს არამც თუ იმათგან, არამედ „კონსტიტუციონერ“ ოქტომბრისტებიდანაც კი.

⁂

ჟამი დიდს საფრთხეს უმზადებს რუსეთს. ჩინეთიდან გადმოსული საშინელი სენი ჯერ მანჯურიას მოედო და ახლა ლამის არის ციმბირშიაც გადავიდეს. შეფიქრიანდა რუსეთის საზოგადოება და მთავრობას მოსთხოვა ენერგიულ ზომების მიღება. რამდენად ენერგიულადაც ეკიდება ადმინისტრაცია საქმეს, ეს, სხვათა შორის, შემდეგი მაგალითიდანაცა სჩანს. ვლადივოსტოკის პოლიცმეისტერს მიუმართავს ხარბინის პოლიცმეისტერისთვის, რანაირ მდგომარეობაშია ავად-მყოფობა და რა ზომებს იღებთ მის წინაამდეგაო. პასუხად ლაკონიური წერილი მიუღია: „ცნობები ხარბინის ვესტნიკ“-ში იბეჭდებაო, ასეთს, წმინდა კანცელიარიულ დამოკიდებულებას საქმისადმი მემარჯვენეთა „სვეტი“-ც კი გაუჯავრებია.

„მშვიდობიან დროსაც კი,—სწერს გაზეთი,—ასეთი პასუხი შესაფერისად იქმნებოდა დაჯილდოვებული უმაღლეს მთავრობის მიერ, რაღა უნდა ითქვას დღევანდელს პირობებში? ვინაა თავდები, რომ ხარბინისა და ბლაგოვეშჩენსკის სოლიდარობა უტყუარი მომასწავებელი არ არის საერთოდ ადგილობრივ ადმინისტრატორთა სოლიდარობისა!“.

ეს დაბალი მოხელეების შესახებ. ახლა ყური დაუგდეთ, რას ამბობს „ნოვოე ვრემია“ უფრო დიდ მოხელეების შესახებ.

„ხუმრობა ხომ არ არის,—კითხულობს გაკვირვებული გაზეთი,—მანჯურიაში პირველად ჟამმა თავი ოქტომბრის შუა რიცხვებში იჩინა, უმაღლეს წრეებში მის წინააღმდეგ ზომების მისაღებად კი თათბირი იანვრის დამლევს დაიწყეს!“.

კიდევ კარგი, რომ ესეთი სიტყვები ულტრა-რეაქციონურს გაზეთებს წამოსცდათ, თორემ ამაშიაც სახელმწიფოს ღალატს დაინახავდნენ! ამ ბოლო დროს ასეთი წესები დამყარდა კონსტიტუციონურს რუსეთში.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

საზღვარ-გარედ.

26 იანვარი.

ბუდაპეშტი. უნგრეთის დელეგაციის გარეშე საქმეთა კომისიის სხდომაზე, ერენტალმა ოქტომბერში ნათქვამი სიტყვა მოიგონა და განაცხადა: სამთა კავშირი არც ერთ სახელმწიფოს წინააღმდეგ არაა მიმართული. რუსეთ-ავსტრიის განწყობილება იმის მომასწავებელია, რომ სხვა სახელმწიფოები ავსტრიას ანგარიშით არ უყურებენო, რასაც თვით გერმანიის კანცლერის სიტყვაც ადასტურებს. სიმართლეს მოკლებულია, სთქვა ერენტალმა, ვითომც ავსტრიას პოსტდამის შეხვედრის განზრახვა გვიან აცნობესო. ის ხმებიც, ვითომც ევროპის სახელმწიფოები ახალ ახალ შეკავშირების თაობაზე მსჯელობენო. ერენტალმა დეპუტატ ვატიონის სიტყვის წინააღმდეგ, პროტესტი განაცხადა. ვატიონი ამტკიცებდა, ავსტრია ფლოტს გერმანიის სურვილის გამო აძლიერებსო. რაც შეეხება ოსმალეთისა და ბალკანეთის სხვა სახელმწიფოებსო, ამ 25 წლის განმავლობაში ავსტრიის პოლიტიკური რწამსი იყო: ამ სახელმწიფოების მშვიდი და დამოუკიდებელი განვითარება. ჩვენ მოსურნე ვართ, რომ ოსმალეთმა შინაურ საქმეების მოწესრიგება ბრძნულად განაგრძოს. სერბია-ავსტრიის შორის სასარგებლო პოლიტიკურ და ეკონომიურ განწყობილების განახლება გვახარებსო, კომისიამ ბიუჯეტი მიიღო და ერენტალს ნდობა-მადლობა გამოუცხადა.

ბერლინი. გაზეთი „კურიერ სვენტეჩნი“ რომელიც ვარშავაში გამოდის გერმანიაში ორი წლით აკრძალეს.

გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელე ჰექსტჰაუზენი პეკინში ელჩად დაინიშნა.

ვაშინგტონი. წარმომადგენელთა პალატამ მიიღო ჯაშუშობის შესახებ ბილი. ვინც გემების, ციხე-სიმაგრეებისა და სამხედრო გემთ-ასაშენებელ ქარხნების სურათებს ფოტოგრაფიულიდან გადაიღებს ან დახატავს, მკაცრად დაისჯება.

ჰააგა. უმაღლესმა პალატამ ჰოლანდიის ზღვის სანაპიროების გამაგრების კანონ-პროექტი კომისიას გადასცა.

ბუდაპეშტი. უნგრეთის დელეგაციაში სიულიმ სთქვა: ერენტალმა გააქარწყლა ის აზრი, ვითომც ავსტრია-უნგრეთი მხოლოდ სახელით ითვლებოდა დიდ სახელმწიფოდ. ორატორმა ერენტალს პოსტდამის შეხვედრის თაობაზე მიულოცა, ვინაიდან რუსეთი სამთა კავშირს დაუახლოვაო. არა ნაკლებ იტალიანურ ირრედენტიზმისა, მონარქიის მთლიანობისათვის საფრთხედ, სიული სთვლის იმ აგიტაციას რომელსაც, ბუქარესტიდან ხელმძღვანელობით, სემიგრადიაში ეწევიან. მომავალში,—დასძინა ორატორმა,—რუმინიის საზღვრები მდინარე ტისსამდინ მიაღწევსო, ესე იგი ბუკოვინა და უნგრეთი რუმინიის საზღვრებში მოიქცევაო.

სტამბოლი. პირველად ცეცხლი პორტის ტელეგრაფის ბიუროში გაჩნდა და წყლის უქონლობისა გამო ცეცხლის მქრობი რაზმი ერთხანს ვერ მოქმედებდა. მიზეზის გამოსაძიებლად ორი კომისია დაინიშნა. ოსმალური გაზეთები უარ-ყოფენ ბოროტ-განზრახულებას. ხმები დადის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს და სავეზირითო არქივები დაიწვაო.

ხმები დადის, რომ გარეშე საქმეთა მინისტრის არქივიდან ზოგი რამ დაიკარგაო. ღამით რამდენიმე პირი, რომელნიც სამინისტროების და სავეზირო არქივებიდან საბუთების მოპარვას სცდილობდნენ, დაატუსაღეს.

ლონდონი. ლორდთა და საზოგადოებათა პალატაში სეფე სიტყვამ კამათი გამოიწვია. საზოგადოებათა პალატაში ასკვიტმა ხაზი გაუსვა ინგლისის საერთაშორისო მეგობრულ განწყობილებას. მთავრობის სახელით და საზოგადოებათა პალატის თანხმობით ასკვიტმა განაცხადა, პიშონის გულითად მეგობრულ განცხადებაზე ასეთსავე განცხადებას ვუსურვებ საფრანგეთსაო. დასასრულ პალატათა დამოკიდებულებას შეეხო და განაცხადა: უკანასკნელ არჩევნების დროს, ხალხმა მთავრობას თანხმობა გამოუცხადა საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელების განზრახვაშიო.

ლორდთა პალატაში სტატს-სეკრეტარის ამხანაგმა, კრიუმ სამხრეთ-სპარსეთის თაობაზე სთქვა: მთავრობას არ ჰსურს სპარსეთის პოლიტიკის განახლებისათვის თავისი აფიცრები გაჰგზავნოს. მთავრობასა ჰსურს სპარსეთი საკუთარ ძალთა და საშუალებათა შემწეობით განახლდეს, მაგრამ თუ ეს ვერ შეიძლო და საჭირო შეიქმნა გარეშე ძალის დახმარება, მაშინ, რასაკვირველია, ინგლისი სპარსეთის თანხმობით დახმარებას გაუწევსო.

ბერლინი. სამხედრო დირიჟაბლი № 3 დილის 6 საათზე გოტიდან აფრინდა და საღამოს 6 საათზე მეცში დაეშვა.

პარიზი. სამხედრო გეოგრაფიულმა განყოფილებამ ჰაერში ფრინავთათვის სახელმძღვანელოდ საფრანგეთის რუქის პირველი ფურცელი გამოსცა.

ჟამი

ხარბინი. დღე-ღამეში 18 ჩინელი და 2 ევროპიელი გარდაიცვალა. ქალაქის მახლობლად სოფელ ალექსეევკაში 84 ჩინელის გვამი ნახეს, რომელსაც იქვე დასწვავენ.

ტოკიო. მთავრობას პალატაში წინადადება შეაქვს, მანჯურიაში ჟამთან საბრძოლველად ერთი მილიონი მანათი გადაიდვას.

ოდესა. საკარანტინო ლაბორატორიაში ექიმთათვის ჟამისა და ხოლერისა კურსები გაიხსნა.

პეტერბურგი. უმაღლესად დაარსებული ჟამთა მებრძოლი კომისია 22—28 თებერვლამდის კრებას იწვევს.

რუსეთი

პეტერბურგი. დეპუტატ გლეხებმა, სახელმწიფო სათათბიროსა, ბატონ-ყმობის მოსპობის 50 წლის შესრულების გამო, დაადგინეს მეფე-განმათავისუფლებელს, ალექსანდრე მე 2-ის ბიუსტი სათათბიროში დასდგან.

მოსკოვი. ქალაქის უფროსმა 500 მან. დააჯარიმა „გოლოს სტუდენჩესტვა“ წერილ „უკანასკნელი შემთხვევის“ გამო და 500 მან, „უტრო როსსიი“-ს წერილ „პროლეტარიატის დროშის ქვეშ“.

ოდესა. სადგურ რაზდელნოი-ზე 14 კაციდან შემდგარი ქურდების ბრბო დაიჭირა. ეს ბრბო საქონლის მატარებლებს ძარცვავდა. ქურდები რკინის-გზის მოსამსახურენი იყვნენ.

პეტერბურგი. შეკითხვების კომისიამ სათათბიროს წინაშე შუამდგომლობს, რომ ავსტრიის პოლიციის მიერ ოსტრაიკოვის ოლქიდან რუსეთის ქვეშევრდომთა გაძევების თაობაზე შეკითხვა დაიჩქარონ, რადგანაც ახალი ცნობები მივიღეთო.

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრმა მინისტრთა საბჭოში წინადადება შეიტანა, რომ 5% ოქროს შემოსავლისა 1884 წლ. მოწმობები და მოსკოვ-იაროსლავის რკინის გზის 5% ობლიგაციები 1868 წლ. შესყიდულ იქნას, რისთვისაც 44,900,000 მანეთია საჭირო.

პეტერბურგი. ტყის მწარმოებელთა კრებამ დაადგინა, ტყეები საერთოდ უნდა დაიცვან და არა ზოგიერთიო.

პეტერბურგი. საექიმო საბჭომ გადასწყვიტა, აფთიაქის თითო ფარმაცევტს წელიწადში 4,000—6,000 რეცეპტს არ უნდა აღემატებოდეს. ეს ნორმა მხოლოდ იმ ქალაქთა აფთიაქებს ეხება, რომლის მცხოვრებთა რიცხვი 200,000 სულს აღემატება.

პეტერბურგი. ხელოსანთა კრებამ საჭიროდ სცნო უქმე დღეებში მუშაობისაგან განთავისუფლება ყოველ გვარ მოხელეთათვის, გარდა მაგ. წყლის საყვანისა და მეპურეებისა. თითოეული, ეროვნებათა სარწმუნოების მიხედვით, იუქმებს.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბიროს საბჭომ ფრაქციათა წარმომადგენლების მონაწილეობით, გადასწყვიტა, უახლოეს საკითხად, ხარჯთ-აღრიცხვის კანონ-პროექტების მიღების შემდეგ, ბიუჯეტის კანონების და სათემო მმართველობის პროექტი წამოაყენოს. გარჩევის დასაჩქარებლად გადასწყვიტეს ხარჯთ-აღრიცხვის საკამათოდ კვირაში 5 დღიური და ერთი საღამოს სხდომები მოახდინონ.

პეტერბურგი. სახალხო განათლების კომისიამ ნაციონალურ ფრაქციის შესწორებანი მიიღო: პირველ-დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ქრისტიანე უნდა იყოს, მასწავლებლობა ეკრძალებათ: სამართალში მიცემულთ, თავად-აზნაურთა საზოგადოებიდან გამორიცხულთ, სამღვდელოებიდან გადამდგართ. სკოლის ხელმძღვანელობა თავად-აზნაურთა წინამძღოლთა მაგიერ სახალხო სკოლათა დირექტორებს ევალებათ.

ახალი ამბები

ტფილისი

◆ საადგილ-მამულო კომისიის ყურამდე მოახწია შემდეგმა ცნობამ: ამ ბოლო ხანებში ქვემო-ქართლში დაიარებიან სხვა-და-სხვა პირნი და სოფლის ხალხს უცხადებენ, ვითომც იგინი ადგენენ არტელებს **მომავალ კახეთის რკინის გზაზედ სამუშაოების ახალებად** და იწვევენ ხალხს ჩაეწერონ არტელებში, ბეი 5 მანეთის წარმოდგენით. ეს პირნი ავრცელებენ ხმებს, რომ მუშაობა იწყება ამ წლის მაისში და თვითოეული წევრი არტელისა დაისვამს დღეში არა ნაკლებ 3 მანეთისაო. ამავე წინადადებით ყოფილან ამ ერთი კვირის წინად სოფ. მეტეხში და მის მახლობელ სოფლებში.

◆ ტფ. ქალაქის საბჭოს მდივანმა მ. ა. ჯაბარმა ქალაქის გამგეობას საინტერესო მოხსენება წარუდგინა, რომელშიაც აღნიშნულია ის ხარჯი—წელიწადში 15.000 მანეთზე მეტი—რომელიც ქალაქს მოსდის სხვა და სხვა მოხსენებათა, ანგარიშებისა, ბლანკების და სხვ. დაბეჭდვაზე სხვის სტამბაში. მომხსენებელი ურჩევს, **ქალაქმა საკუთარი სტამბა შეიძინოს.** რომლის მოწყობაც დაჯდება 12.000 მანეთი. აქედან პირველ წელიწადს ქალაქს შეუძლიან 4.000 მან. გადაიხადოს, ხოლო დანარჩენი—ნაწილ-ნაწილად 10 წლის განმავლობაში.

◆ 25 იანვარს ქალაქის გამგეობამ სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლებისა და საზოგადო მოღვაწეთა კრება მოიწვია 19 თებერვლის დღესასწაულის პროგრამის შესამუშავებლად. კრებამ დაადგინა, დაარსოს გამგეობასთან საგანგებო ბიურო, რომელსაც ყოველგვარ ცნობებს მიაწვდიან და სამშაბათს 1 თებერვალს, მოწვეულ იქმნეს ამგვარივე კრება.

◆ სამშაბათს, 1 თებერვალს, სახაზინო თეატრში საინტერესო საუბარი გაიმართება შემდეგ თემაზე:

კრებაზე ბევრი საყურადღებო მოხსენება წაიკითხეს. განსაკუთრებით საყურადღებო იყო პროფ. ჩუბაევის მოხსენება. მასწავლებელთ განუმარტა, თუ რა გზით შეიძლება ბავშვის სულის განცდათა გამოკვლევა და რა პირობებში ვითარდება ბავშვის გონებრივი და ფიზიკური ნიჭი და ძალ-ღონე.

ერთმა საშუალო სასწავლებლის დირექტორმა განაცხადა: განა შეიძლება თავისუფალ სკოლის წარმოება იმ ქვეყანაში, სადაც თავისუფლება არა არსებობს.

თავმჯდომარე ზარსა ჰკრავს.

კრება ორატორს სთხოვს სიტყვა განაგრძოს. ყველას გულნატკენობა ეტყობა, სჩანს ბევრი ბოღმა-ნაღველი დაგუბებულა მათს გულში.

დირექტორის სიტყვამაც ამ მტკივნეულ სიმს ჩამოჰკრა. დირექტორი შეეხო სკოლების უბადრუკ მდგომარეობას, რომელთაც სწავლა პირად სარგებლობის ასპარეზად გადაუქცევიათ, მონობის ზარხუფქვეშ მოუმწყვდევიათ და ისედაც დაბეჩავებულ ხალხის გონებას უფრო აბნელებენ.

დარბაზში კვლავ ტაშის ცემა და აღტაცებული ყიჟინი ისმის. ორატორმა ახსენა გრ. ლევ ტოლსტოი, როგორც პირველი წინამორბედი თავისუფალის სკოლისა.

მთელი დარბაზი უხმოდ ფეხზე წამოიჭრა და განსვენებულს პატივი სცა.

„თავ გასართობ“ (პოტეშში) რაზმებზეც ჩამოვარდა საუბარი. კრებამ მის წინააღმდეგ გაილაშქრა და სახალხო მინისტრის ამგვარ რაზმთა წამახალისებელი განკარგულება დაჰგმო. ფიზიკური აღზრდას პოლიტიკური ელფერი არ უნდა ედოს. სკოლაში მავრაზმელთა აზრებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. „ასეთის ზომებით ჩვენ მხოლოდ ჩვენ დამწიოკებელთ და ხულიგანებს აღვზრდით“—სთქვა ერთმა მასწავლებელმა.

კრება აღტაცებით შეეგება სახალხო სკოლათა წარმომადგენლებს. მათ მართლაც სასიამოვნო ამბავი მოიტანეს:

„გლეხობამ უკვე შეიგნო ვინაა მისი მტერი და ვინ-მოყვარე, თუ წინედ აგიტატორად მღვდელი მიაჩნდა, დღეს მასწავლებელი მიაჩნიათ.“

„დაე სრულიად რუსეთის მასწავლებელთა მეორე კრებამ რუსეთი ყველა მასწავლებელნი გაერთიანოს“.

დარბაზში საიმედო გულის ძგერა გამოიწვია დელეგატთა სიტყვებმა. კვლავ განცვიახლდა რწმენა მახლობლის გაზაფხულისა.

კრება გულთბილის აღტაცებით აფრთოვანებული დაიშალა.

პროფესორმა ნეჩაევმა შემდეგი ლექსი უძღვნა შეკრებილთ:

„მაცისკროვნებლად გრწამდეთ სი-
ნათლე
ვერას დაგვაკლებს დღე მოღრუბლული
არა მარტო თქვენ მრავალ ტანჯულხართ
და შეეხუთვიათ სიბნელით სული,
განასლებული წმინდა მამული
ამაყის თვალით დაგცქერით მარად
მედგრად წინ გასწით და სიყვარულსა
ერთმანეთისთვის ჰხმარობდეთ ფარად.
წრფელის ოცნებით ტურფად შემკულსა,
შეხვდებით დილას სხივ-მომფინარეს
ქარი დაჰბერავს, მზეც გაანათებს,
დააკვითრთოლებს გულსა მგზნებარეს..
მზეს გზა ფართო აქვს. მისი სხივები
გამოაღვიძებს ხალხსა მძინარეს“.

„ზ—და“.

მეცნიერი—ქალი და რადიატიური ელემენტები.

23 იანვარს პარიზის სამეცნიერო აკადემიამ განთავისუფლებულ კათედრაზე აირჩია პროფესორი ბრანლი, რომელმაც 30 ხმა მიიღო. გამოჩენილი მეცნიერი ქალი, ქ-ნი კიური (შთამომავლობით პოლონელი) კი გააშავეს. ქ-ნმა კიურიმ ორის ხმით ნაკლები მიიღო. ქ-ნი კიური გამოჩენილი მეცნიერია, რომელმაც დიდი განძი შეჰმატა მეცნიერებას. მართალია, დიდ ხანს ხმას ავრცელებდნენ, რომ რაც კი რადიატიულ ელემენტის შესახებ დაიწერა, ეს სულ იმის ქმრის ნამუშევარიაო, მაგრამ, ვინც კარგად იცნობს ამ საკითხს, ნათლად დაინახავს, რა დიდი შრომა მიუძღვის ამ მეცნიერ ქალს და რა ფასდაუდებელია ნაყოფი მისი შრომისა. ქალბატონ კიურის ქმარი უკვე მოუკვდა, მაგრამ იგი კვლავ განაგრძობს ამ დარგში მუშაობას და ამ მოკლე ხანში დიდი, ორ-ტომიანი შრომაც გამოსცა. ამ შრომის შესახებ რუსულ გაზეთ „რეჩში“ მოთავსებულია ბ-ნ ვ. აგაფინოვის წერილი, რომლის შინაარსაც ჩვენს მკითხველებს მოკლედ გავაცნობთ.

ქ-ნი კიური რადიატიულ თვისებებს მხოლოდ ზოგიერთს „რადიატიულ“ ელემენტებს აწერს, მაგრამ ამასთანავე სიმართლესთან დაახლოვებულად მიაჩნია ის აზრიც, რომ ეს თვისება საზოგადოდ მატერიის თვისებაა. არსებობს ორ-გვარი რადიატიური ნივთიერება: სუსტი და ძლიერი, პირველ კატეგორიას ეკუთვნიან: ურანი და ტორი; მეორეს —რადი, პოლონი, აქტინი, რადიოტერი და იონი. ბუნებაში ეს ნივთიერებანი ძალიან დაქსაქსულ სახით არსებობენ. მაგალითად რადი ერთს ტონ მინერალში რამდენსამე დეციგრამს არ აღემატება. რადიატიურ ნივთიერებათაგან წარმოსდგება ერთ-გვარი „სხივები“, რომელნიც ფოტოგრაფიულ შუშაზე მოქმედებენ და გაზები ისეთს მდგომარეობაში მოჰყავთ, რომ მათში ელექტრონს შეუძლიან გასვლა.

ეს სხივები ამ ჟამად სამს ჯგუფადაა დაყოფილი: სხივები α, სხივები β და სხივები γ. პირველ სხივებს ჰბადებს ატომის ზომის მატერიალურ ნაწილთა მოძრაობა, რომელიც უდრის 30 ათას მეტრს ერთს წუთში. ეს სხივები დადებითი ელექტრონითაა გაჟღენთილი. სხივები β გაცილებით უფრო პატარა ნაწილებისაგან (ელექტრონი) შესდგება და მოძრაობენ იმ სიჩქარით, როგორც შუქი, ე. ი. 100—200 ათას კილომეტრს აკეთებენ ერთს წუთში. ეს სხივები გაჟღენთილია უარყოფითი ელექტრონით. სხივები γ რენტგენის სხივებსა ჰგავს, ისინი ელექტრონით არ არიან გაჟღენთილნი და გადიან იმ სიღრმეებში, რომელნიც სხივებს α და β იჭერენ.

ყველა ამის გარდა რადიატიური ნივთიერებანი სითბოს წყაროდანაც უნდა ჩაითვალოს. ეს გასაოცარი თვისება რადიატიულ ნივთიერებათ უნდა ჩაითვალოს იმის მიზეზად, რომ ზოგიერთი მეცნიერები რადიაქტივობას ხსნიან ატომთა თანდათანობით დაშლით და ახალ ატომების შექმნით. ამავე თეორიას თითქოს ადასტურებს ეგრედ წოდებული ემანაცია—რადიატიულ ელემენტებიდან ჩამოშორება ერთგვარ გაზებისა, რომელნიც მის გარშემო მყოფ საგნებსაც რადიატიულადა ჰხდის და ამ მდგომარეობაში ამყოფებს რამდენიმე საათიდან რამდენსამე დღემდე.

რადი პირველ-ყოფილი ელემენტი არ არის. იგი ნამდვილად ურანიდან წარმოსდგება. დღემდის 30-მდე რადიატიული ელემენტია ცნობილი, მაგრამ, ამბობს ქ-ნი კიური,— „ვეჭვობთ რომ ისინი დახასიათდნენ, როგორც ელემენტები—ისე პატარაა მათი სიცოცხლე. ბოლოდ შეიძლება შენახულ იქმნან მხოლოდ ისეთი რადიატიული ელემენტები, რომელნიც განუწყვეტლივ სჩნდებიან და მალე არ ისპობიან. თუ გავიხსენებთ, რომ ეს სიჩქარე რადიატივობის პროპორციონულია, ე. ი. რამდენადაც მალე იშლება ნივთიერება, იმდენად იგი აქტიურია, მაშინ მივხვდებით ყველაზე ძლიერი რადიატიური ელემენტები ასე ცოტა რად არის ბუნებაში. მაგრამ, მისი რაოდენობა, არც ისეთი ცოტაა, როგორც ერთის შეხედვით გვეჩვენება. რადიატიულ ელემენტების დაშლის პროდუქტია გაზი გელი, რომლის ატომებიც სხივების α-ს ნაწილებად უნდა ჩაითვალოს, მხოლოდ ისეთს ნაწილებადა, რომელთაც ელექტრონი აღარ აქვთ. რადგანაც მეორეს მხრივ, ნაწილები α ყველა რადიატიურ ელემენტებს ერთნაირი აქვთ, ამიტომ ადვილად შესაძლებელია რადიაქტიურ ელემენტების, იქნება საზოგადოდ მატერის ატომებიც, გელის ატომებისაგან შესდგებოდეს. მიწის კანზე გელი რამდენსამე მინერალში არსებობს.

ამ რიგად 13—14 წლის განმავლობაში დაირღვა ოდესღაც თლიანი მეცნიერული მსოფლ-მხედველობა. დაირღვა მოძღვრება ქიმიურ ელემენტთა უცვლელობის შესახებ და ხელ-ახლა დაუბრუნდით მატერიის ერთიანობის ძველ თეორიას, მხოლოდ გავამდიდრეთ იგი განვითარების, ევოლიუციის იდეით. დაირღვა მატერიასა და ენერგიის შორის დადებული საზღვრები. წყალბადის ატომებზე ათასჯერ უფრო პატარა ნაწილები სხივის β-სა მხოლოდ ელექტრონია, რომელიც, წინააღმდეგ ძველის მექანიკისა, გასაოცარის სისწრაფით მოძრაობს და იჩენს ინერციას, რომლითაც დღემდის მხოლოდ მატერია ხასიათდებოდა. მატერიალური ატომებიც ამ ელექტრონებისაგან შესდგება.

მაგრამ ეს განადგურება-დაშლა ატომებისა, ამასთანავე ერთად, მისი აღიარებაცაა: ატომი უკვე ფიქცია არ არის, როგორც დღემდის ბევრს ეგონა; არა, ეს ნამდვილი რეალობაა, მხოლოდ უფრო სადა ინდივიდების-ელექტრონებისაგან შემდგარი. ამ უკანასკნელთან შედარებით მატერია და მოძრაობა გაცილებით უფრო რთულ სიძველებად უნდა ჩაითვალოს. დაშლა ატომებისა მოძღვრების გამარჯვებაა. რადიატიურმა ელემენტებმა მარტო მეცნიერებაში არ შეიტანეს რევოლიუცია. ზოგიერთ მეცნიერთა აზრით ადვილად შესაძლებელია მათის შემწეობით დიდი ცვლილება მოხდეს, როგორც ტეხნიკაში, ისე საერთოდ საზოგადოებრივს ცხოვრებაში. ერთი გრამი რადისა ისეთს ენერგიას ანვითარებს, რანაირსაც 500 კილოგრამი, ანუ 30 ფუთი ნახშირი. აკადემიკის ვერნადსკის აზრით ეს გარემოება ისეთს ძალას მისცემდა იმ ადამიანს, რომელსაც საკმაოდ რადი ექნებოდა, რანაირიც დღეს არავისა აქვს. დღეს რადიატიული ელემენტები ძალიან ცოტაა. მაგრამ მისი ბლომად აღმოჩენა ადვილი იქნება, თუ სერიოზულად მოჰკიდეს ხელთ საქმეს. აკადემიკი ვერნადსკი დიდი-ხანია ეწევა ამ აზრის პროპაგანდას. მისის აზრით, რადიატიული ელემენტები ბლომად უნდა მოიძებნებოდეს ურალსა, ციმბირსა და კავკასიაში.

მოწერილი ამბები

ბეჟათ-უბანი. (შორაპნის მაზრა). შუა გიორგობისთვიდან დაწყებული, აქეთ განუწყვეტელი ქარ-ყინვები იყო. ასეთის ყინვების მომსწრე თითქმის არავინ არის. ყინვებმა იმსხვერპლა სოფელ დეისის მცხოვრები გ. მესხი რომელიც სადამოზე შინ დაბრუნებისას, გზაზე ბინდმა მოასწრო და ყინვისგან გარდაიცვალა. ერთი კვირის განმავლობაში გზაზე ეგდო. მდინარეები გაიყინა თითქმის მთლად დაშრა.

არცერ მეორე წელი მიდის, მაგრამ მომრიგებელმა შუამავალმა ბ. თ. წერეთელმა ვერ მოახერხა აქეთკენ ამობძანება, რომ მოეწესრიგებინა „ხიზნების“ საქმე „სენატის გარდაწყვეტილებისამებრ.“ 40-45 წელიწადია, რაც ხიზნები დასახლებულნი არიან. ახლა დიდს საგონებელში არიან ჩავარდნილნი გაი თუ შემატონეებმა აგვყარნო; მას შემდეგ უფრო, როდესაც ერთის მათგანს მ. დოლიძეს ზ. ი. კაოძის მემკვიდრეების საჩივრის გამო მომრიგებელმა მოსამართლემ აყრა კადაუწყვიტა ამ რამდენიმე თვის წინეთ (მაგრამ კი ამინდებიც რომ იყო?) ხიზნები ძალიან ჩაფიქრებულნი არიან, და მომრიგებელი შუამავლიც კარგს იზამს, თუ ამ საქმეს მოაწესრიგებს.

ქართველი-იმერელი.

თეატრი და ხელოვნება

ნაძალადევის სახალხო სახლი.

ყველას მოეხსენება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო თეატრს ჩვენში დამონებულ და დაბეჩავებულ ერისათვის. ამიტომაც დიდის სიამოვნებით უნდა მივეგებოთ ამ კულტურულ დაწესებულების დაარსებას ნაძალადევში, რომელიც მოკლებული იყო აქამდისინ უოდეს სასარგებლო დროს გატარებას.

ამისათვის საჭიროა ჩვენმა ქალაქმა და ქველმოქმედებმა სათანადო ყურადღება მიაქციონ ამ სასარგებლო საქმეს და დახმარება აღმოუჩინონ, რადგან დარბაზი თეატრისა პატარაა, სულ 200 კაცამდე თავსდება, და გაფართოვებას თხოულობს.

სახალხო წარმოდგენების მმართველმა წრემ „ნაძალადევი“ 23 იანვარს დასდგა პირველად (თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ამ 10—15 წლის წინადაც იმართებოდა ათასში ერთხელ წარმოდგენა) იაფ ფასიანი წარმოდგენა 5 კაპ.—25 კაპ.

წარმოდგენილ იქმნა სამ მოქმედებიანი კომედია ა. ცაგარელისა: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ ბ.ბ. იოსიძის, გოკირიძის და სვიმონიძის მონაწილეობით. საერთოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა.

კარგია, რომ ადრე დაიწყო წარმოდგენა, და ადრევე გაათავეს, რაც ასე საჭიროა მუშა ხალხისათვის. დიდი მადლობის ღირსნი არიან ამ წრის ხელმძღვანელნი ბ.ბ. სვიმონიძე, გრ. ჩარკვიანი, ი. ფანიაშვილი, დვალი, ბოტე, და სხვები, რომელთაც შრომით და მეცადინეობით ნაძალადეველნი ეღირსნენ სახალხო სახლის დაფუძნებას. საყვედურის ღირსია „სიფხიზლის საზოგადოება“, რომელსაც არსებულმა წრემ ორი თვეზე მეტი დახმარება სთხოვა, რომ თავიანთი თანხა, რომელიც უმოძრავად აქვთ, ესესხებინათ ამ წრისათვის, თეატრის გადასაკეთებლად, მაგრამ აქამდის პასუხიც არ უღირსებიათ.

ერმალოზა კახი.

უცხოეთი

კონსტიტუციური მოძრაობა ეგვიპტეში.

ნაციონალისტურმა მოძრაობამ ეგვიპტეში რეალური ფორმები მიიღო. დიდხანს ელოდა ეს ქვეყანა მშვიდობიანის გზით კონსტიტუციის მიღებას, მაგრამ ამაოდ. ამ ჟამად ასეთი იმედი მთლად დაჰკარგა და გადასწყვიტა, ძალით მოიპოვოს ის, რაც ასე ძალუმად სწყურია ამ დაჩაგრულ და დაბრიყვებულს ქვეყანას. ლორდ კიტჩენერის მოსვლამ და ეგვიპტეში მოგზაურობამ ხალხში უფრო მეტი აურზაური და უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან ამის შემდეგ უფრო გაძლიერდა და დაკანონდა ის პოლიტიკური დაჩაგვრა, რომელსაც მანამდე განიცდიდა ეგვიპტეს ხალხი.

ამ დღეებში ნაციონალისტებმა ქედივს პეტიცია წარუდგინეს, რომელშიაც კონსტიტუციას თხოულობენ. პეტიციაში, სხვათა შორის, დაწვრილებით აღნიშნულია ის უსამართლობა, რომელსაც სჩადიან ინგლისელები 28 წლის განმავლობაში.

მოძრაობა თითქმის მთელს ეგვიპტეს მოედო. ხალხი ბოლო ხანს უფრო იმან აღაშფოთა, რომ სასტიკად დასაჯეს ის სტუდენტები, რომელთაც ქედივის მოსვლის დროს დემონსტრაცია გამართეს და, სხვათა შორის, ასე ჰყვიროდნენ: „ძირს ინგლისელები, გაუმარჯოს კონსტიტუციას! გაუმარჯოს ქედივს!“

ამ დღეებში ნაციონალისტებმა დიდის ამბით გააცილეს რკინის გზის სადგურამდე ადგილობრივ გაზეთის რედაქტორი ალბონ რუჟო, რომელიც 24 საათის განმავლობაში გადაასახლეს ინგლისელების წინააღმდეგ გესლიან წერილის დაბეჭდვისათვის. ამ გაცილებას სადგურზე ყველა პუბლისიტი და ჟურნალისტი დაესწრო.

ასე ანაზდეულად გადასახლება რედაქტორისა უფრო იმან გამოიწვია, რომ მან მეთაურს წერილში ხმა-მაღლა გაილაშქრა ლორდ კიტჩენერის წინააღმდეგ, რომლის მოსვლის შემდეგ პოლიტიკური რეპრესიები და პრესის დევნა საშინლად გაძლიერდა.

დიდი სენსაცია და აღელვება გამოიწვია ხალხში ადგილობრივ აფიცრების პეტიციამ, რომელიც ოსმალეთის მთავრობას წარედგინა. აფიცრები პეტიციაში აღნიშნავენ იმ დამცირებას და შეურაცხყოფას, რომელსაც მათ აყენებენ ინგლისელი აფიცრები. პეტიცია თითქმის ყველა გაზეთში დაიბეჭდა. მოგვყავს პეტიციის შინაარსი სრულიად:

„ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ თავისუფალი ადამიანი გულგრილად ვერ დაუწყებს ცქერას იმ ძალმომრეობას, რომელსაც მათს ქვეყანაში სჩადიან უცხოელნი; ის უცხოელნი, რომელთაც ძალა და უფლება ხელში ჩაიგდეს უკანონოდ. ჩვენ დიდხანს ჩუმად ვიყავით და ვითმენდით, შემდეგ ლეგალურ გზით საჩივრები აღვძარით, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს საჩივარს ყური არავინ ათხოვა. ახლა ჩვენ იძულებულნი ვართ, ტაქტიკა შევიცვალოთ. ახლა როდესაც ამ განცხადებას გაძლევთ, ჩვენ გვსურს საზოგადოებამაც გაიგოს, რომ მოთმინების ფიალა აივსო ინგლისელები ბატონობენ ჩვენზე, კანდიერად ამცირებენ ეგვიპტელ აფიცრების ღირსებას და შეურაცხყოფენ ეგვიპტელ ჯარს. ჩვენ ჩვენსავე ქვეყანაში უფლებას გვართმევენ. ამ გვარი ყოფა შეუძლებელია“.

ერთმა ადგილობრივმა გაზეთმა „ალმუაიედ“მა ხაზ-გასმით აღნიშნა, ეგვიპტეში ყველა დიდი თანამდებობა ინგლისელთ აქვთ ხელში და დიდს ჯამაგირებსაც იღებენო.

სახელმწიფო ხარჯების სისტემა ოსმალეთის მთავრობას დაღუპვისაკენ მიაქანებს. მოკლე ხანში ჯარის შესანახი ხარჯი ერთი სამად გადიდდა. სამის წლის წინად იხარჯებოდა 439,570 გირვ. სტერ. წელს კი ჯარის შესანახად 780,780 გირ. სტ. გადაიდო.

ქაირის ციხეები ამ ჟამად პოლიტიკურ ტუსაღებით არის სავსე. მათ ერთობ სასტიკად ეპყრობიან. ამ ერთის კვირის წინად ქაირის ციხეებში ტუსაღებმა შიმშილი გამოაცხადეს. პატიმრებმა ქედივს პეტიცია გაუგზავნეს, სადაც ასწერენ სისასტიკეს ციხის ადმინისტრაციისას (ინგლისელები). თავის უნუგეშო მდგომარეობის დასასურათებლად პატიმრებმა ქედივს პეტიციასთან ერთად ის პურიც გაუგზავნეს, რომელსაც აჭმევენ ციხეში. პური მეტად უვარგისი აღმოჩნდა. პური სანიმუშოდ შინაგან საქმეთა მინისტრსაც გაუგზავნეს.

ტუსაღებმა შიმშილი სწორედ იმ დღეს გამოაცხადეს, როდესაც ქაირში ნაციონალისტების ბელადი მაჰომედ-ფარიდ-ბეი მივიდა. უკანასკნელს რკინის გზის სადგურზე 7,000 კაცი დაუხვდა და დიდის აღტაცებით მიიღო. სადგურიდან ხალხის წამოსვლას სადღესასწაულო ხასიათი ჰქონდა. ხალხი ჰყვიროდა: „გაუმარჯოს კონსტიტუციას, გაუმარჯოს ფარიდბეის!“ ჰაერში მრავალი დროშა ფრიალებდა, პოლიცია დემონსტრაციაში სრულიად არ ჩარეულა.

გერმანიის სასწავლებლები ჩინეთში.

გერმანიამ გადასწყვიტა, ჩინეთში სამი საინჟენერო სასწავლებელი გახსნას—ერთი უმაღლესი და ორი საშუალო. ხელმოწერით უკვე ერთ მილიონ მანეთამდე შეაგროვა ამ საქმისთვის. ამ გადაწყვეტილებას დიდის თანაგრძნობით მიეგებენ გარეშე საქმეთა მინისტრი კიდერლენი და ადმირალი ტირპიცი. ამ სასწავლებლების დაარსებით გერმანიას ჰსურს, კონკურენცია გაუწიოს ინგლისისა და ამერიკის სკოლებს, რომლებიც ჩინეთში დიდი ხანია არსებობენ, ჯერ კიდევ შარშან ცზინ-ტაუში დაარსდა გერმანია-ჩინეთის უნივერსიტეტი, რომელსაც ამ ჟამად რამდენიმე ასი მსმენელი ჰყავს.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის დღევანდელ ნომერში მოათავსოთ ორიოდე სიტყვა იმ სცენებზე „ნიგილისტიკა“, რომელიც დღეს იქნება წარმოდგენილი ქართულ სცენაზე ქ-ნ ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ. „ნიგილისტიკა“ არ არის პიესა, ის მხოლოდ პატარა სცენებია ყმაწვილი ქალის ცხოვრებიდან და ეკუთვნის წარსულს სამოციან, სამოცდა ათიან წლის ქალების ტიპს. დაწერილია 1879 წ. სოფელ ახალქალაქში წარმოსადგენად. შემდეგ მე ცოტათი შევავსე და შევასწორე. და თუ ეხლა დავთანხმდი იმის ხელმეორედ დადგმას, მხოლოდ იმიტომ, რომ მეჩვენებინა ის დრო და ის გარემოებანი, რომლებშიაც ჩვენი დროის ინტელიგენტ ქალებს უხდებოდათ მოქმედება და რამდენად ძნელი იყო იმათთვის ყოველი თავისუფალი ნაბიჯის გადადგმა. მაგრამ მაინც იბრძოდნენ, წინ მიდიოდნენ.. მაშასადამე **ჩემ სცენებს** არავითარი პრეტენზია არა აქვთ იმაზედ, რომ პასუხი გასცენ რაიმე ახალს კითხვებზედ.

ეკ. გაბაშვილისა.

—

მ. ხ. ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივ-ცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგ წერილს.

მგოსანი აკაკი წერეთლის ორმოცდაათი წლის მოღვაწეობის იუბილეის აღსანიშნავად 1908 წელს, დ. ზუგდიდის საზოგადოებამ დაადგინა, დაეარსებინა დ. ზუგდიდში აკაკის სახელობაზე წიგნთ-საცავ-სამკითხველო, რისთვისაც აირჩია ცხრა წევრისაგან შემდგარი კომიტეტი. ამ კომიტეტის თავმჯდომარედ მე ვიყავ არჩეული და შეძლებისადაგვარად დღემდე ვემსახურებოდი დაკისრებულ მოვალეობას; დღეს, ვინაიდან ქმრის სამსახურის გამო სხვაგან გადავდივარ საცხოვრებლად, იძულებული ვარ თავი დავანებო ამ მეტად სიმპატიურ შრომას და ვალდებულად ვსთვლი თავს გაზეთის საშუალებით შემოსავლის ანგარიში წარუდგინო საზოგადოებას,

შემოსავალი ფულადი: საიუბილეო საღამოდან, 7 დეკემბერს 1908 წელს შემოვიდა წმინდად 205 მან. მასკარადის საღამოდან, 7 დეკემბერს 1909 წ., დარჩა 93 მან. საცეკვაო საღამოდან, 24 აპრილს 1909 წ., 60 მან. წარმოდგენიდან 21 თებერ. 1910 წ. 82 მ. 50 კაპ. ზუგდიდის საზოგადო საკრებულომ შემოსწირა 114 მ. 84 კაპ. ზუგდიდის საურთიერთო საზოგადოების ბანკმა შემოსწირა 73 მან. 19 კაპ. კვიტანციებით მიღებულია სხვადა-სხვა დროს კერძო შემოწირულება ქვემო მოხსენებულ პირებთაგან:

ხუთ-ხუთი მანეთი: თავ. ლევან ჩიჩუა, თავ. ა. კოჩაკიძე, თავ. ა. ინალიშვილი, ბ. ა. პანიევი, ბ. ი. მეუნარგია, ბ. ი. მუჯირისაგან; **სამ-სამი მანეთი:** ლ. გვალია, დ. კერტოზია, ზ. და მ. ჟორდანიები, მ. ნიკურაძე, ვ. ოლშიბაია, რ. ნიგარაძე, ა. გაბუნია, კ. ინასარიძე, ე. ლაგროვი, ვ. აფაქიძე, დ. შარაშიძე, ვ.

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო
ჟურნალ
„განათლება“-ზე
(წელიწადი მეოთხე)

1911 წლის იანვრიდან ჟურნალი გამოვა ყოველ თვეში, გარდა ზაფხულის ორის თვისა, იმავე პროგრამით, როგორც ამდენ ხანს გამოდიოდა. ჟურნალი წლიურად ღირს გაგზავნით 3 მ., ნახევარის წლით 2 მ. სოფლის მასწავლებლებს მომავალ წელშიაც ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 2 მ. სოფლის მასწავლებლებს, ვინც 3 მ. ერთბაშად გაიღებს, 1910 წლის ნომრებიც გაეგზავნებათ. ცალკე ნომრები გასასყიდად არსად არ გაიგზავნება. დაიბეჭდება იმდენი ცალი, რამდენიც ხელის-მომწერლები იქნებიან. ხელის-მოწერა მიიღება **ტფილისში** „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში **ივანე ბვალიაშვილთან** და „ნაკადულის“ რედაქციაში. პროვინციებში კერძო აგენტებთან. რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერლებს დროზე აცნობონ თავიანთი ადრესები.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія
Л. Г. Боцвадзе.

(5—უ.—4) რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
„ჯეჯილი“
ოცდა მეორე წელიწადი
მიიღება ხელის-მოწერა 1911 წლისათვის.

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში ეღირება 4 მ., ქალაქ გარედ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მ., ცალკე ნომერი 40 კ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ **თელავში**—კნ. ნ. ჩოლოყაშვილს; **სიღნაღში**—კნ. ნ. სვიმ. ანდრონიკაშვილს; **ჭიათურაში**—ნიკო წუწუნავას და **ბათუმში**—მ. კალანდაძეს. წლიურ ხელის-მომწერლებს დაურიგდებათ ორი წიგნი: 1) „ღვთის წყალობა“, დასურათებული მოთხრობა გ. წერეთლისა. 2) საყმაწვილო ამბები, კრებული სურათებით.

ფოსტის ადრესი: Въ Тифл. въ Родакц. Грузынсаго дѣтск. жур. „Джеджили“.

(5—5) რედ.-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

ემუზვარი და შარვაშიძისაგან. ამასთანავე 2 მან. და 70 კაპ. 24 ნოემბერს ხტურებში შენაკრები მიღებულია №-საგან. **ორ-ორი მანეთი:** ძმ. ჯალაღანიები, პ. მცანავა, მ. მხეიძე, № ფიფია, ა. მილორავა, ა. კემულარია, ძ. წულეისკირი, ე. ადამია, კ. კობახიძე, ვ. მიქელაძე, ლ. მხეიძე, კ. დარასელია, გ. ანჩაბაძე, ტ. ჯგუშია, ა. ვასაძე, პ. არაჩემია, ვ. ანთელავა, ს. მაღლაკელიძე, ძმ. ძაძამიები, ს. ქვანია, ა. ბერიძე, ი. კუხალაშვილი, პ. ანჩაბაძე, ა. კობახიძე და ა. გობეჩიასაგან. **თითო მანეთ-ნახევარი:** გოგია, დგებუაძე, ჯიშკარიანი, შენგელია, ქორდანია-ჯგვიშია, ხაჭუა, თოდუა, ფიფია, კილასონია, ალშიბაია, ჯანაშია, ბეჭელაშვილი, გეგეჭკორი, პატარაია, ოქსიანოვისა და კვიტაშვილისაგან. ექვსი აბაზი მიღებულია--ვასაძისაგან. **თითო მანეთი:** წიწავა, ლუსხადული, ძმ. თურმანიძეები, კობახიძე, რაფავა, კვარცხელია, ჩომახია, ჩილაჩავა, ფარცვანია, ქვანია, კიკალიშვილი, დგებუაძე, ჯინჯოლია, ჩხეიძე, სასტუმრო „ფრანცია", თოდუა, ცანავა, ქურუ ლორია, ირადიბ, ოროპულო, ჯავარიძე, ცანავა, ჟღენტი, ჯიჯიხია, ქორთუა, პატარაია, თოდუა, ნაჭყებია, გუგუშვილი, ვინმე ბაჩვა, კილასონია, ჯიქია, ჩაჩავა, დავითაია, მაჭავარიანი, კუხალაშვილი, მიქელაძე, მღ. ჯიქია, მღ. გიორგი, მღ. კვირკველია, მღ. ბერულავა, ქამეთიანი, აკუშერკა, კეიდია, საჰაია, კეიდია, ბუჩკიევი, ქვარაია, კაკელიძე, ჩიქოვანი, მხეიძე, ქავთარაძე, თოლორაია, ანთელავა, ქორდანია, შელია, დადიანი, კობახიძე, ჩიქოვანი და ქორდანიასაგან. **ათ-ათი შაური:** კეიდია, გვათუა, ჩიხლაძე, ჯიქია, ქარცხია, ქორქაშვილი, წულაია, მატუა, ვასილიადი, რუხაძე, თოფურია, რეკვავა, კვარაცხელია, დავითაია, უბერი, ესაკია, ქვანია, ფოფხაძე, ნოდია, ქვანია, ბაკურავა, სანაია, ჩილაჩავა, გეგეჭკორი, აფხაზავა, ქარჩავა, ოქროპირიძე, ფარულავა, თოლორაია, პერტახია, შენგელია, ბარამია, რამიშვილი, შედანია, ჯანაშია და კაპარავასაგან. **ორ-ორი აბაზი:** მირცხულავა და ცხადაიასაგან. **ექვს-ექვსი შაური:** წულაია და რუხაძისაგან. **თითო აბაზი:** შედანია, გრიგოლია, კილასონია, რეკვავა, გოგიბერიძე, მესხი და არამიასაგან. **რვა კაპეიკი:** რეკვავასაგან და ერთი შაური გვარამიასაგან.

ამ რიგად წულ ფულად შემოვიდა 857 მან და 56 კაპეიკი, რომელიც გადაეცა ხსენებულ კომიტეტის ხაზინადარს ტ. გ. ჯგვიშიას და მას აბარია.

შემოწირულება წიგნებით.

ქ. ქუთაისიდან მივიღეთ ბ-ნ ი. კვიცარიძისაგან შემოწირული 328 ცალი წიგნები და 22 სხვა და სხვა სურათები. სულ ერთად, წიგნებიანად ღირებული 144 მან. 84 კაპ.

ნესტორ ვახანიასაგან მივიღეთ 14 ცალი წიგნი. ჩემგან არის შეწირული 49 ცალი რუსულ-ქართული წიგნები, რომელიც აბარია კომიტეტის მდივანს ნ. ს. ბუკიას.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სამკითხველოს შენობა უკვე დაწყებულია და შენდება, მხოლოდ მისი დამთავრება და მოწყობა კიდევ დიდ ხარჯებს მოითხოვს. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადგილობრივი საზოგადოება, რომელმაც ასეთის თანაგრძნობით შეხვდა ამ საქმეს, შემდეგშიაც არ მოაკლებს თავის მზრუნველობას და სამკითხველოს საქმეს მკვიდრ ნიადაგზე დააყენებს. რაც შეეხება სამკითხველოს შენობაზე დახარჯულ ხარჯების ანგარიშს, ეს თვით კომიტეტის საქმეა და თავის დროზე უთუოდ, გაზეთის საშუალებით აცნობებს საზოგადოებას.

დასასრულ, დიდ მადლობას ვუძღვნი კომიტეტის ყველა წევრებს, რომელთაც დიდი შრომა გასწიეს ამ საქმეზე და პირ-ნათლად შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა. აგრედვე, როგორც მე პირადათ, ისე მთელი კომიტეტი განსაკუთრებით დიდ მადლობას უძღვნის ბ-ნს ისიდორე კვიცარიძეს, რომელმაც 144 მან. მან. და 24 კაპეიკად ღირებული წიგნები და სურათები შემოსწირა. მადლობას უძღვნი აგრედვე ყველა იმ დაწესებულებას და კერძო პირთ, რომელთაც შემწეობა აღმოგვიჩინეს,—ფულით, შრომით, სიტყვით და წარმოდგენა—საღამოებში მონაწილეობის მიღებით.

კნ. ცაცაშო დადიანის ახული ერისთავისა.

გამოსადეგი ცნობა

ვინ როდის იღებს მთხოვნელებს

ნამესტნიკი ხუთშაბათობით მთხოვნელებს იღებს 2 ნახევარ საათიდან. ხანდახან ზოგჯერ მოხელეებს შაბათობით 2 საათიდან.

ნამესტნიკის თანაშემწე სამხედრო ნაწილისა სამშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე თავის ბინაზე: ბარიატინსკის ქუჩა ხაზაზ. ხაზლ.

ნამესტნიკის თანაშემწე სამოქალაქო საქმეებში ოთხშაბათობით 2—3 საათ. მოხელეებს იღებს, ხოლო 3 ს. მერე მთხოვნელებს ნამესტნიკის კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8).

ეგზარხოსი—ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 10—2 ნახევარ საათამდე საკუთარ ბინაზე (ვერხოხის მოედანი).

ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი—ორშაბათობით ნაშუადღევს 2 საათ. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8)

კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი—ორშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე, შტაბის შენობაში (ხახანოვის ქუჩაზე).

ქ. ტფილისის და მის მაზრის დროებით გენერალ-გუბერნატორი ოთხშაბათობითა და შაბათობით დილ. 11—2 საათამდე. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 19).

ტფილისის გუბერნატორი — ყოველ დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე, კანცელარიაში (რტიშჩევისა და ბებუთოვის ქუჩ. კიდში).

კავკასიის მიწათმოქმედებისა და მიწად მოწყობის მთავარი რწმუნებული—ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით ნაშუადღ. 10—1 ნახევარ სათ. კანცელარიაში (სერგიევის ქუჩა N 9).

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათამდე კანცელარიაში (ანასტასიევის ქუჩაზე).

მატარებელთა მიმოსვლა.

(დრო ტფილისის საათზე ნაგარაუდევი)

ტფილისიდან გადიან:

ბათუმისკენ: სახალხო მატ. N 5, დილ. 8 ს. 10 წ., გორში ჩადის 11 ს., მიხაილოვში 12 ს. 33 წ. დღისით.; რიონში—4 ს. 48 წ. დღ.; ბათუმში—ჩავა საღ. 9 ს. 20 წ. საფოსტო N 3,—ნაშუადღ. 2 ს. 9 წ., გორში ჩადის 4 ს. 57 წ. ნაშუადღ.; მიხაილოვში—6 ს. 18 წ. საღ.; რიონში—10 ს. 59 წ. საღ.; ბათუმში ჩად.—4 ს. 28 წ. მეორე დილ. სახალხო მატ. N 7, საღამ. 11 ს. 53 წ., გორში ჩადის ღამ. 2 ს. 29 წ. მიხაილოვში—ღამ. 3 ს. 53 წ., რიონში მეორე დღეს დილით—8 ს. 33 წ., ბათუმში ჩადის დღისით 1 ს. 26 წ.

შერეული მატარ. N 107, მე-4 კლასით—ღამის 1 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 3 ს. 51 წ., მიხაილოვში—მეორე დღეს დილით 6 ს. 51 წ., ბათუმში ჩადის—საღ. 8 ს. 33 წ.

ბაქოსკენ: N 2, სწრაფ.—დილ. 9 ს. 28 წ., ბაქოში ჩადის საღამოს 11 ს. 26 წ. **სახალხო მატ.** N 6, ნაშუადღევ. 3 ს. 35 წ. გადის. ბაქოში ჩადის მეორე დღეს დილ. 9 ს. 7 წ. **საფოსტო მატ.** N 4, გადის საღ. 10 ს. 25 წ., ბაქოში ჩადის მეორე დღეს ნაშუადღ. 5 ს. 21 წ.

შერეული, N 106, მე-4 კლასით, გადის დილ. 4 ს. 18 წ., ბაქოში ჩად. საღ. 5 ს. 21 წუთზე.

ბორჯომისკენ: სახალხო N 9—66, ნაშუადღ. 3 ს. 28 წ., ბორჯომში ჩადის საღამ. 9 ს. 8 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო მატ. N 74—75, შუაღამ. 12 ს. 41 წ. გადის. ჯულფაში ჩადის მეორე დღეს. ღამის 1 ს. 5 წ.; ნარევი მატ. მე-4 კლასით დილ. 5 ს. 48 წ.

ერევნისკენ: სახალ. მატ. N 78—79, გადის ნაშუადღ. 4 ს. 33 წ.

ტფილისში მოდიან:

ბაქოდან: N 6, სწრაფი საღ. 10 ს. 55 წ. სახალ. N 5, დილ. 7 ს. 25 წ. N 3, საფოსტო ნაშუადღ. 1 ს. 9 წ., N 107, ნარევი მე-4 კლასით—შუაღამ. 12 ს. 1 წ.

ბათუმიდან: სახალხო N 6, ნაშუადღ. 2 ს. 46 წ., საფოსტო N 4, საღ. 9 ს. 25 წ. სახალხო N 8, დილ. 8 ს. 45 წ. ნარევი N 106, მე-4 კლასით, ღამ. 3 ს. 16 წ.

ჯულფიდან: საფ. N 72—73, დილით 6 ს. 36 წ.

ერევნიდან: სახალხ-საქონ. N 80—81, საღ. 7 ს. 1 წ. ნარევი N 110—111 მე-4 კლასით საღ. 10 საათზე.

ბორჯომიდან: სახალხო N 61—10, დილით 7 ს. 35 წ.

შენიშვნა; ნარევი მატარებელის მე-4 კლასის ვაგონებს NN 106, 107, 108, 109, 110 და 111 საჭიროებისა-დაგვარად მიაბამენ ზოგჯერ მატარებელს.

განცხადებანი

◀ მშობიარეთათვის ▶

თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6 4-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—53)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (ვ)

მშობიარეთა თავ შესაფარი

◆ ბებია ქალი ◆

მ. ი. კრემერისა

ნიკოლოზის ქ. სახ. № 47.

მშობიარენი და ორსული ქალები მიიღებიან დროს განუსაზღვრელად—დღითაც და ღამითაც. მშობიარეთ კარგად უვლიან, საექიმო დახმარებას მუდამ უწევენ, არის ოთახები ისეთ მშობიარეთათვის, რომელთაც საიდუმლოდ სურთ მოილოგინონ. პირობები საერთო პალატაში 2 მ. დღეღამეში, მშობიარობის დროს დახმარება 6 მანეთი, ნომერში მოსათავსებელ და გინეკოლოგიურ ავადმყოფთ ფული გადახდებათ წინასწარ მორიგების თანხმად. ქალთა სენით ავათმყოფთა მიღება და ძიძების გასინჯვა ყოველ-დღე დილის $12^1/_{2}$ $11^1/_{2}$ საათამდე (100—276—16)

მიმდინარე წლის 30 დეკემბრიდან

გაიხსნა

მუხრანსკის ახალი კერძო სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул. 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ნ. მ. ახპახოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კილთხანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

გ. ა. მელქონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე **ექ. ა. ი. გრიგორიანი.** № 646. 100—ხ (0—5—18)

დოქტ. ნასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნასახარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. მ. ჩიქოვანი: $9^1/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა. ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—$1^1/_{2}$ ს. შინაგან და საბავშვო.

ბ. გ. აგახაროვი: $1^1/_{2}$—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ი. ვ. გიოსხკაია-ინგელი: 6—$6^1/_{2}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარცინშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 სათ. **606** წამლობა

კონსულტაციურად

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნასახარდიანი.**

ქ. თელავში

იყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

ჭრა-კერვის ● წიგნი ●

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით.

ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად: ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

სოფიო ი. სიმონოვის მიერ.

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софiи Iосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ. (100—326—14)

სპეციალური

სამკურნალო

კანისა, ვენერიულის და ათაშანგის სნეულებათა.

ველიკოკნიაჟის ქ. N 9, გარანტოვის მეგლის მახლობლად.

ავადმყოფებს ყოველ დღე მიიღებენ ექიმები **გ. ა. გედალინი და ი. მ. ზაბლუდოვსკი** 1—5 საათამდე და საღ. 7 ნახ.—8 ნახ. მანდილოსანთა და ბავშვთა იღება 4—5 საათამდე, ანალიზები, მეზვევა, ძიძათა მოსამსახურეთა და მუშათა შემოწმება.

მეხვლის ფასი—40 კ. კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

ერლიხ-ხატას პრეპარატით 606 წამლობა, ელექტრონით წერილი. (0—6—18)

A.S.V.&Cie
ШЕЛКОВИЧНАЯ ЦЕЛЮЛЯРНАЯ ГРЕНА БЕЛОЙ БАГДАДСКОЙ ПОРОДЫ ПРИГОТОВЛЕНО ПО СИСТЕМЕ ПАСТЕРА
АЛЕКСАНЪ ВАРПЕТЯНЪ и Ко
КОНСТАНТИНОПОЛЬ

მივიღეთ და

მ ო ი თ ხ ო ვ ე თ

აბრეშუმის

◀ ჭიის თესლი ▶

ბაღდადურ თეთრის ჯიშისა.

ალექს. ვარპეტიანისა და ამხ. ფირმისა, (წინად ა. გ. არსენისა და ამხ. ფირმად ყოფილი). კავკ. საბრეშუმო სადგურის თეთრი ბანდეროლით, საგანგებოდ დამზადებული

ტიგრან ხოჩიანცის დაკვეთით, საგანგებოდ ქუთაისის გუბერნიისათვის. თითო კოლოფში ზწორედ 6 მისხალი, (25 გრამი), კარგად შემოწმებული თესლია კიხეის ტოპრაკებით ფირმას მტემბლითა და ლუქის ბეჭედ-დასმული „ა. ვართანიანი", კოლოფშივე არის 1 ცალი დარიგება ჭიის რიგიან მოვლაზე. ქალაქ გარედ მყოფნი მყიდველნი ბათუმში აღნიშნულ ადრესით მოიკითხავენ: კანტორა ზიღნის ქუჩ., ტამრის ქიმშია მოთავსებული, ბარხუდაროვის მემკვიდრეთა სახლში N 6, და ღია დილის 10 ს.—2 საათამდე. მთელის რუსეთის იმპერიისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელი **ტიგრან სერგოს ძე ხოჩიანცი.** ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის: Тифлисъ, Тигранъ Хачiанцъ (12—1206—1

მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

ამ საბრეშუმო სეზონისათვის გვაქვს მეცნიერულად გაუმჯობესებული ჯიშების **ლ ო ყ ი ე ს** ფირმის შემდეგი აბრეშუმის თესლები: 1) ყვითელი, შერეული აზიური; 2) მსხვილი პარკი, ჩალის ფერი, ვაარის ჯიში; 3) მოგრძო პარკი, მკრთალი ყვითელი ლოჟიედ წოდებული და 4) საშვალი პარკი, მძიმე, ყვითელი ლოჟიედ წოდებული; თეთრი ჯიშების გვაქვს: 1) ბრუსისა; 2) კორეიისა; 3) ანდრიანოპოლისა და 4) ბაღდათისა.

თესლები მომზადებულია თანახმა პასტერის სისტემისა და შემოწმებულია საფრანგეთის მთავრობის მიერ.

წარსული ცდის შემდეგ მოგახსენებთ, რომ წინააღმდეგ მტრების ენებისა, ამ ჯიშების შესანიშნავ თესლებში ყოველ გან: ხონში, სამტრედიაში, დიდი ჯიხაიშში, სენაკში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში და სხვაგანაც მეტი ფასი მისცენ მყიდველებმა, ამიტომ მეტად სასარგებლოა მეაბრეშუმეთათვის და შეიძინეთ მხოლოდ გაუმჯობესებული ჯიშების სალი აბრეშუმის თესლები, რომლის პარკსაც ყოველგან დიდი მოთხოვნილება აქვს.

ნაღდად მყიდველთათვის ღირს 2 მან. 60 კ. 6 მისხალი. იქნება სამ მისხლიანი კოლოფებიც. ამ ფასიდან ჩამყიდავ აგენტებს ეძლევა შრომის შესაფერი სასყიდელი.

სანდოებს ან საზოგადოებისაგან წარმოდგენილ პირებს მივიღებ აგენტებად. მეაბრეშუმეებს თესლთან ერთად მიეცემათ დარიგების ფურცლები. კრებებზედაც მივალ დარიგების მისაცემად, როცა ამაზე თავის სურვილს შემატყობინებს რომელიმე საზოგადოება.

პარტიობით მყიდველ-გამყიდველთ ვთხოვ მომელაპარაკონ და მომმართონ შემდეგის ადრესით: **იოსებ კაკაბიძეს**—ქუთაისში. (9—1025—1)

ვ. ყიფიანის დრამა

სამეგრელოს მთავარი ◀ ლ ე ვ ა ნ

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.

ფასი ორი აბაზი

იყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

იყიდება სახლი

(განმარტოებით [illegible])

ქუჩის კუთხეში, 8 ოთახიანი, ე. ი. 5 და 3 ოთ. ბანკის ვალი 4900 მან. აქვს, ზედმეტი წამატება მორიგებით. სახლი კარგ ჰაეიან ადგილასაა და ტრამვაის მახლობლად. **სოლოლაკი, ამაღლების ქუჩა უკანასკნელი ადგილი ორთა № 2.** (2—419—2)

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

◆ საბუღალტერო კურსები ◆

ნ. ვ. აბრამიანისა.

სახარ. „ვაჭრობ. და ნავთის წარ. ბუღალტერიის სახელმძღვანელოს" ავტორი, რომელიც მოწონებულია ფინან. სამინისტრ. სამოსწ. განყოფილ. მიერ, როგორც სახელმძღვანელო კომერციულ სასწავლებელთათვის,

◀ ასწავლიან და ამზადებენ ორივე სქესის პირთ ▶

უკანასკნელ გაუმჯობესებულ მეთოდით ოთხის თვის განმავლობაში სხვა და სხვა სისტემის ბუღალტერიას და საკომერციო სპეციალურ საგნებს. გარდა არსებულ საგანთა სწავლებისა, კურსებზე ასწავლიან უცხო ენებს, სტენოგრაფიას და რემინგტონს.

კურსების მასწავლებლებად უმაღლეს სასწავლებელში კურსდამთავრებულნი და თავიანთ საგნის სპეციალისტები არიან.

სწავლა დაიწყება 15 იანვარს 1911 წ. პერიოდულად ყოველ 4 თვეში ნახადილევს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე, საღამოს 4—7 საათ. და დილის 9—12 საათამდე. კურსის მსხრულების შემდეგ ეძლევა ატესტატი ფინანსთა მინისტრის ნებართვით.

ამა სკარჯა კურსებთან ცალკე გახსნილია საგანგებო რუსულ ენისა და არითმეტიკის მოსამზადებელი კურსები ნაკლებად მომზადებულთათვის.

წესდება და პროგრამები ეგზავნებათ მსურველთ უფასოდ. მსურველმა უნდა მიმართონ წერილობით თუ პირადად. კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, N 22. ტელეფონი 744.

ზემოდ-დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორისაგან ფასდადებით გამოიწერს—გასაგზავნ ფულს არ იხდის. ფასი თითო ცალისა 3 მ. 50 კ. (0—292—14)

სავონი ◀ ვაშენე ▶

ინგლისურ ქარხ. **კლინალ ლიმიტედისა,**

თეთრეულს 15 წუთში ჰრეცხავს, ხელით ქუჭყნა და მანქანა არა სჭირდება. თუ სცდით, დარწმუნდებით, რომ ეს რეკლამა არ არის და თეთრეულს $1^1/_{2}$ მაგიერ 6—8 წელიწადს ატარებთ.

იგი თეთრეულს სრულებით არ აფუჭებს

მის ხმარებას განსაკუთრებული ცოდნა არა სჭირდება.

რადგანაც ყალბად დამზადებულს, როგორც გარეგნულად, ისე სახელწოდებითაც „ვაშენეს" ამსგავსებენ, გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ **ოქროს მედალს,** რომელიც მთავრობის მიერ დამტკიც. დამღაზეა № 1049—12752, ხოლო ინგლისურ პატენტზე № 295350.

მოითხოვეთ ყველგან.

მთავარი წარმომადგენელი **ვიქტორ ზატკალინი,**

მთელის ამიერ-კავკასიის წარმ-მადგენელნი **ზ. ნ. ხრხრიანცი და ტ. ზ. ბახშინოვი.**

С.-Петерб., Ст. Больш. пр., № 92.

Тифлисъ, Елизаветинская, № 192.

(5—322—3)


ТРЕБУЙТЕ ЧАСОВЪ ИСКЛЮЧИ-ТЕЛЬНО ИЗЪ ПАРИЖА

მ ო ი თ ხ ო ვ ე თ

სწორე და მკვიდრი საათები!

ნუ გამოეკიდებით იაფ-ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უხმო საათები ხამი ხაზურავით «სპ ხ ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ზამბარა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასადებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და „სიკარგის სიძით". ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 40 კ. (ციმბირში 75 კ.).

ПАРИЖЪ PARIS 7	S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis.

უფასოთ გზავნით ახალი ოქროს მშვენიერ ძეწკვს ბრელოკით და ზამბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე. (Мецль N 53647). (34—15—18)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

საყოველთაოდ იუწყება, რომ ამა წლის 4 თებერვალს, ნაშუადღევის 1 საათზე, კ. ი. ზუბალაშვილის სახალხო სახლთან არსებულ ბუფეტის იჯარით გაცემაა დანიშნული. პირობების გაგება ყოველ საქმის დღეს შეიძლება გამგეობის კანცელარიაში 10—2 საათამდე. (3—1020—

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობის

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

✦ ახალ-ახალი ✦

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. გირ.

აგრე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები. (წ—128—89)

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა